თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

[illegible]

13სთ.

# შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/3441-13

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ინგა კვაჭანტირაძე
მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:**

საქართველოს მთავრობა
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.№7
პირადი (საიდენ.) ნომერი   ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.   სამსახურის ტელ.   მობილური   ფაქსი   ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:**

ფიქრია ზირაქაშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის ხიით ნომერი

13001002860
პირადი ნომერი

ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.№7
ძირითადი მისამართი

საქართველოს მთავრობის კანცელარია
ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.№7
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

ალტერნატიული მისამართი

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | 2 990 900 | 591 05 09 25 | | pzirakishvili@geo.gov.ge |

**საკონტაქტო პირი:**

სახელი, გვარი   სახლის ტელ.   მობილური   ელექტრონული ფოსტა

კანონმდებლობის ძალით თქვენ შესაგებელი სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე, ასევე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლის მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

**დიახ** ☐

**არა** ☒

**ნაწილობრივ** ☐

# მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

# დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☒ | რის საფუძველზე? დაუშვებლობის მოტივით, ვინაიდან, გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირი და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. |
| არა | ☐ | |

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რის საფუძველზე? |
| არა | ☒ | |

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მიგვაჩნია, რომ სასარჩელო განცხადება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ დაუშვებელია და მასზე დაწყებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის დასაშვებად ცნობის მთავარ წინაპირობად უთითებს იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული აქტი და მით უმეტეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცდა „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი", რომელიც წარმოადგენს ზოგად წესს, რომელიც ადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების, დაინტერესებული პირების მიერ განაცხადების წარდგენის, გამარჯვებულის გამოვლენის და ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების წესს და პირობებს. სასარჩელო განცხადებაში არ არის დასაბუთებული, თუ რა პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელეს ამ დადგენილების მიღებით, ხოლო მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მომავალში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ამ დადგენილების შესაბამისად, ~~გადაწყვეტილების მიღების~~ პროცესში სავარაუდოდ დაირღვევა გარემოსდაცვითი პრინციპები და კანონმდებლობა, არ წარმოადგენს სარჩელის დასაშვებად ცნობის საფუძველს.

აქვე წარმოგიდგენთ პოზიციას სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მას. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო;

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებთ გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალურ კანონიერებასთან დაკავშირებით. რაზეც მოსარჩელე აპელირებს სასარჩელო განცხადებაში, რა თქმა უნდა სადავო აქტის გამოცემისას საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და შესაბამისად, მის მიერ მიღებული დადგენილება არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა ვერ დავეთანხმებით მოსარჩელეს, რომ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კოლეგიური ორგანოს

ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღების (გამოცემის) წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 თავით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ მთავრობა საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვის, სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით.
ამდენად, ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საქართველოს მთავრობა დადგენილების მიღებისას ხელმძღვანელობს არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, არამედ საქართველოს მთავრობის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურებით.
ამდენად, 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილების გამოცემისას საქართველოს მთავრობა მოქმედებდა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და აქტის ფორმალური კანონიერების კუთხით არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.
რაც შეეხება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებას, აღნიშნულთა დაკავშირებით უდავოდ საინტერესოა ის გარემოება, რომ სასარჩელო განცხადება მოიცავს მხოლოდ ზოგად განმარტებებსა და მითითებებს შესაძლო კანონდარღვევებთან დაკავშირებით და არ არის მითითებული ის კონკრეტული საკანონმდებლო აქტები, რომელთან წინააღმდეგობაშიც მოდის გასაჩივრებული აქტი. რაც შეეხება ე.წ. ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-7 მუხლის დებულებების მოთხოვნათა დარღვევის შესახებ მოსარჩელის მითითებას, აღნიშნული ასევე საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, ხსენებული დებულებები ითვალისწინებს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად ინფორმირებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე და ასევე საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ სადავო დადგენილებით დამტკიცდა ზოგადი წესი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების . . . . და ა.შ., რომელიც ადგენს, რომ სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას, რომელიც სავალდებულოდ უნდა განათავსოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამავე დადგენილებით სამინისტროს ევალება გამოაქვეყნოს ასაშენებელი ელექტროსადგურების შესახებ არსებული ძირითადი ინფორმაცია და ასევე ინტერესთა გამოხატვა. გარდა ამისა, დადგენილებაში გათვალისწინებულია ის ზოგადი პირობები, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი და რომელიც ხელს უწყობს ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობასთან, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით დაწყებას, დასრულებას და ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებას. შესაბამისად, თუ ადგილი ექნება ამ წესის დარღვევა და მოსარჩელეს არ მიეცემა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაში, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტული ქმედება ან გამოცემული აქტი. მხოლოდ ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღრინდელი პერიოდის გათვალისწინებით არსებობს საფრთხე იმისა, რომ არ იქნება დაცული დაინტერესებული მხარის უფლება, მონაწილეობა მიიღოს შესაბამის პროცესებში, არ ქმნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკმარის საფუძველს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობისთვის.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

## სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა
ვითხოვთ საქმეში მესამე პირად ჩაბმას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით.
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
**დიახ** ☐ რის საფუძველზე?
**არა** ☒

შენიშვნა-28

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?
**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
**არა** ☒

---

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქ. თბილისი, ბოჭორიძის ქ 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge, ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: წარმოების მასალები (21 ფ.);
დანართი 2: მინდობილობა (1ფ).
ფურცლების საერთო რაოდენობა: 1 ეგზ. „31ფ."

თანახმა ხართ თუ ა ა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე — თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მას ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ფიქრია ზირაქაშვილი | 28/10/2013წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.